

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2020	2019
ამონაგები	შენ. #1	4 479 823	4 115 296
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ.#2	(3 621 416)	(3 365 411)
საერთო მოგება	შენ. #3	858 407	749 885
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ#4	(146 860)	(147 804)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(565 414)	(490 213)
საოპერაციო მოგება		146 133	111 868
მოგება დაბეგვრამდე		146 133	111 868
მოგების გადასახადის ხარჯი		(6 175)	(16 780)
მიმდინარე წლის მოგება	შენ.#6	139 958	95 088
გაუნაწილებელი მოგება წლის		183 850	174 657
დასაწყისში			
დივიდენდები		(82 147)	(85 895)
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#7	241 661	183 850

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2020	2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#8	76 908	86 237
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#9	241 453	195 071
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#10	164 584	99 763
სხვა მიმდინარე აქტივები	შენ.#11	0	20 900
		482 945	401 971
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		86 030	71 313
არამატერიალური აქტივები		793	947
	შენ.#12	86 823	72 260
სულ აქტივები		569 768	474 231
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#13	302 079	272 722
შრომის ანაზღაურება		6 407	0
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#14	19 621	17 659
		328 107	290 381
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#15	241 661	183 850
		241 661	183 850
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		569 768	474 231

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5 239 810	4 812 805
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	
გაწეული ხარჯები	(5 204 418)	(4 840 322)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(44 721)	(6 538)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (9 329)		(24 158)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	86 237	110 395
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შენ. #16	76 908	86 237

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“ (ს/ნ 212920892) დაფუძნებულია 2010 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უაღკოპოლო სასმელებზე საბითუმო ვაჭრობა. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ზ.გამსახურდიას ქ.60. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- ნინო ბერიძე (პ/ნ-60003006406) - საქართველოს მოქალაქე
- თამაზი გუგუშვილი (პ/ნ 60001038305) - საქართველოს მოქალაქე
- მამუკა ვაშაკიძე (პ/ნ-60002007692) - საქართველოს მოქალაქე
- პაატა გელაშვილი (პ/ნ-60001093551) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 40 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხოვრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება

და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშევა, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 10-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12
2. კომპიუტერული ტექნიკა 10

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2020	2019
1	პროდუქციის გაყიდვა	4 445 981	4 079 408

2	მომსახურების გაწევა	33 842	35 888
	სულ ამონაგები:	4 479 823	4 115 296

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 4445981 ლარს, ხოლო მოსახურების გაწევა ხორციელდება კომპანიებთან და ამონაგები შესაბამისად შეადგენს 33842 ლარს. სულ 2020 წლის ამონაგებმა შეადგინა 4445981 ლარი.(შენიშვნა #1)

#	დასახელება	2020	2019
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	99 763	53 291
2	მარაგების შესყიდვა	3 686 237	3 411 883
3	გადამუშავების დანახარჯი	3 621 416	3 365 411
4	საბოლოო მარაგები	164 584	99 763

საწყისი მარაგები 99763 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის ნაშთს, შესყიდული მარაგები ძირითად პროდუქციაზე არის 3686237 ლარი, გადამუშავების დანახარჯი ძირითად პროდუქციაზე არის 3621416 ლარი და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის პროდუქციის მარაგების ნაშთმა შეადგინა 164 584 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2020	2019
1	სულ ამონაგები	4 479 823	4 115 296
2	პროდუქციის თვითღირებულება	3 621 416	3 365 411
3	საერთო მოგება	858 407	749 885

სულ ამონაგებმა შეადგინა 4479823 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 3621416 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 858407 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2020	2019
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	129 950	127 500
2	საპენსიო დანარიცხი	1 397	1 162
3	საკომუნიკაციო	5 490	6 867
4	საკონსულტაციო	4 000	4 000
5	დასუფთავების მოსაკრებელი	560	558
6	საგადასახადო ხარჯი (ქონება)	943	1 640
7	ცვეთა და ამორტიზაცია	154	154
8	სხვა საოპერაციო ხარჯი (საკანცელარიო, ბანკის და ა.შ)	4 366	5 923
9	სულ საოპერაციო ხარჯი	146 860	147 804

ადმინისტრაციის ხელფასმა შეადგინა 129950 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 1397 ლარი, საკომუნიკაციო 5490 ლარი, საკონსულტაციო მომსახურებამ 4000 ლარი, დასუფთავების მოსაკრებელმა 560 ლარი, ქონების გადასახადის ხარჯმა 943 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 154 ლარი და სხვა საოპერაციო ხარჯმა 4366 ლარი. მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 146 133 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2020	2019
---	------------	------	------

1	დასაქმებულთა ანაზღაურება	270 646	248 120
2	საპენსიო დანარიცხი	2 317	3 107
3	მიწოდების	138 393	68 525
4	საიჯარო ქირა	55 932	50 849
5	საწვავი	56 038	110 776
6	ცვეთა და ამორტიზაცია	30 888	8 836
7	ტრანსპორტირება	11 200	0
8	სულ საოპერაციო ხარჯი	565 414	490 213

მუშების ხელფასმა შეადგინა 270646 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 2317 ლარი, მიწოდების ხარჯმა 138393 ლარი, საიჯარო ქირაზე ხარჯმა 55932 ლარი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ მიმდინარე იჯარა და არ არის ფინანსური. საწვავზე ხარჯმა 56038 ლარი და ცვეთა- ამორტიზაციამ 30888 ლარი. ამრიგად მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 565414 ლარი. (შენიშვნა #5)

#	დასახელება	2020	2019
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	146 133	111 868
2	მოგების გადასახადი	(6 175)	(16 780)
3	მოგება/(ზარალი)	139 958	95 088
4	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	139 958	95 088

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 146 860 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 6175 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 139958 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2020 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #6)

#	დასახელება	2020	2019
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	183 850	174 657
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	139 958	95 088
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(82 147)	(85 895)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	241 661	183 850

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 183850 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 139958 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 82147 ლარით და 2020 წლის ბოლოსათვის შეადგინა 241661 ლარი. (შენიშვნა #7)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2020	2019
1	ფული სალაროში ლარში	43 906	1 621
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	29 120	60 721
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	3 882	23 895
4	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	76 908	86 237

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2020 წელს უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები არ განხორციელებულა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 86 237 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 76 908 ლარი.(შენიშვნა #8)

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 195071 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 5286192 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 5239810 ლარი და დარჩა მისაღები 241453 ლარი. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.(შენიშვნა #9)

მარაგები კომპანიაში მოიცავს ორ კომპონენტს პირველი მზა პროდუქცია და მეორე საწვავ-საცხები მასალები. წლის დასაწყისისათვის ნაშთი 99763 ლარი მთლიანად არის მზა პროდუქციის ნაშთი, წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 3742275 ლარის მარაგი საიდანაც 3686237 ლარის იყო მზა პროდუქცია, ხოლო 56038 ლარის საწვავ-საცხები მასალა, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 3677454 ლარის მარაგი, საიდანაც 3621416 ლარის იყო მზა პროდუქცია და 56038 ლარის საწვავ-საცხები მასალა. ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 164584 ლარი.(შენიშვნა #10)

სხვა მიმდინარე აქტივებში ასახული ნაშთი წლის დასაწყისში იყო 20900 ლარი და წლის ბოლოს ნაშთი აღარ დარჩა.(შენიშვნა #11)

დასახელება	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	არამატერიალური აქტივი	სულ
ნაშთი 31.12.2019	70 152	1161	947	72 260
შემოსვლა	44721			44721
ცვეთა	(30 888)	(299)	(154)	(31 341)
კორექტირება	1 183			1 183
ნაშთი 31.12.2020	85 168	862	793	86 823

70152

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად სატრანსპორტო საშუალებებით. პარკი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ასევე მოძველებულია კომპიუტერული ტექნიკაც. არამატერიალურ აქტივებში აღრიცხულია დისტრიბუციის სამუშაო პროგრამა. სულ ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 72260 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 44721 ლარის სატრანსპორტო საშუალება, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 31341 ლარი, დაკორექტირდა 1183 ლარი და 2020 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 86823 ლარი.(შენიშვნა #12)

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 272722 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 4705597 ლარი, გასტუმრებული იქნა 4676240 ლარი, ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 302079 ლარი.(შენიშვნა #13)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ წლის დასაწყისში იყო 17659 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 19621 ლარი.(შენიშვნა #14)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 183850 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 139958 ლარი, გაიცა დივიდენდები 82147 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 241661 ლარი. (შენიშვნა #15)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2020	2019
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	35 392	(17 620)
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(44 721)	(6 538)
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(9 329)	(24 158)
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	86 237	110 395
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	76 908	86 237

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 86237 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის ზრდა 35392 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან კლება (44721) ლარი, შედეგად წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს (9329) ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 76908 ლარი.(შენიშვნა #16)

დირექტორი:

გიორგი გელაშვილი